ეროვნული შეჯიბრი საერთაშორისო ჰუმანიტარულ სამართალში 2023

რეგულაციები

1. ზოგადი დებულებები

1.1. შეჯიბრი

1.1.1. საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ეროვნული შეჯიბრი (შემდგომში „შეჯიბრი“ წარმოადგენს ყოველწლიურ საგანმანათლებლო ხასიათის შეჯიბრს, რომელშიც მონაწილეობას იღებს საქართველოში ავტორიზაციის მქონე უმაღლესი სასწავლებლების სამართლის ფაკულტეტის ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის საფეხურის სტუდენტებისაგან შემდგარი გუნდი.

1.1.2. შეჯიბრის ორგანიზებასა და ჩატარებას უზრუნველყოფს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საერთაშორისო ურთიერთობებისა და სამართლებრივი თანამშრომლობის დეპარტამენტი (საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის უწყებათაშორისი კომისიის სამდივნო, *შემდეგში „ორგანიზატორი“*) და სსიპ „საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრი“ წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის წარმომადგენლობასთან თანამშრომლობით.

1.1.3. შეჯიბრის მიზანია, საქართველოს მასშტაბით, სტუდენტებში საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლისა და მომიჯნავე სფეროების შესახებ ცნობიერების ამაღლება, სამართლებრივი უნარ-ჩვევების ჩამოყალიბება/განვითარება და საკონტაქტო ქსელის შექმნა.

1.1.4. შეჯიბრი არის სრულად სასწავლო ხასიათის და მისი მიზანი არ არის მოგების ან რაიმე სხვა სახის ფულადი სარგებლის მიღება.

1.2. გუნდების რეგისტრაცია

1.2.1. შეჯიბრში მონაწილეობის მისაღებად აუცილებელია რეგისტრაცია, რომლის ადმინისტრირებას უზრუნველყოფს შეჯიბრის ორგანიზატორი. რეგისტრაცია შედგება ერთი ეტაპისგან - ორგანიზატორის მიერ დაწესებული სარეგისტრაციო ფორმის შევსება. რეგისტრაციის გავლის შემდეგ, დარეგისტრირებულ გუნდებს ორგანიზატორი ლექციათა განრიგის შესახებ უგზავნის ინფორმაციას.

1.2.2. თითოეულმა გუნდმა უნდა შეავსოს ორგანიზატორის მიერ დაწესებული სარეგისტრაციო განაცხადი, რომელშიც უნდა მიეთითოს უნივერსიტეტის დასახელება, გუნდის წევრების სახელი, გვარი, საკონტაქტო ტელეფონი და ელექტრონული ფოსტა, ამასთანავე, გუნდმა უნდა მიუთითოს საკონტაქტო პირი, რომელსაც დაუკავშირდება ორგანიზატორი ნებისმიერი საკითხის შეთანხმებისას. შეჯიბრში რეგისტრაცია და მონაწილეობის მიღება არის უფასო.

1.2.3. გუნდს მონაწილეობა არ უნდა ჰქონდეს მიღებული საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ეროვნული შეჯიბრის დასკვნით ეტაპზე.

1.3. შეჯიბრის სტრუქტურა

1.3.1. **შეჯიბრი შედგება 5 ეტაპისგან:** სააპლიკაციო ფორმის შევსება; ლექციები შერჩეული გუნდებისთვის; ტესტირება გასაუბრების ეტაპზე გასული გუნდების გამოსავლენად; გასაუბრება; ფინალური ეტაპი

სიმულაციების ფორმით.

1.4. შეჯიბრის ენა

1.4.1. შეჯიბრი ტარდება ქართულ ენაზე. დასაშვებია ზოგიერთი სამართლებრივი ტერმინის ინგლისურ ენაზე გამოყენებაც.

1.4.2. ყველა წერილობითი დოკუმენტი, მათ შორის ნებისმიერ კორესპონდენცია და ზეპირი გამოსვლები უნდა ჩატარდეს ქართულ ენაზე. აღნიშნული წესი არ ზღუდავს გუნდებს მოიძიონ შეჯიბრისათვის საჭირო ნებისმიერი უცხოენოვანი ლიტერატურა და გამოიყენონ საკუთარი პოზიციის გასამყარებლად.

2. შეჯიბრში მონაწილეობა და დაშვების კრიტერიუმები

2.1. მონაწილე გუნდები

2.1.1. შეჯიბრში მონაწილეობის უფლება აქვთ **საქართველოში ავტორიზებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების** სამართლის სკოლის/იურიდიული ფაკულტეტის ბაკალავრიატის და მაგისტრატურის, ასევე, სამხედრო მიმართულების აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტებისაგან შემდგარ გუნდებს. ერთი უნივერსიტეტიდან შესაძლებელია რეგისტრაცია გაიაროს ერთმა ან რამდენიმე გუნდმა.

2.1.2. შეჯიბრში მონაწილე გუნდი უნდა შედგებოდეს 3 წევრისგან.

2.2. გუნდების შემადგენლობა

2.2.1. შეჯიბრში რეგისტრაციის გავლის შემდეგ, დაუშვებელია გუნდების შემადგენლობის ცვლილება. გამონაკლისი შემთხვევა დაიშვება საპატიო მიზეზის არსებობისას და ამის შესახებ გადაწყვეტილებას მიიღებენ შეჯიბრის ორგანიზატორები.

2.2.2. გუნდის შემადგენლობაში შეიძლება იყოს პირი, თუ ის აკმაყოფილებს შემდეგ პირობას: შეჯიბრის ჩატარების მომენტისათვის აქვს სტუდენტის სტატუსი და იმყოფება სამართლის სკოლის/იურიდიული ფაკულტეტის ბაკალავრიატის პირველ ან შემდგომ კურსზე ან მაგისტრატურის საფეხურზე, ასევე, სამხედრო მიმართულებით პირველ ან შემდგომ კურსზე.

2.2.3. წინამდებარე წესების 2.2.2. მუხლით გათვალისწინებული კრიტერიუმების დარღვევის შემთხვევაში, ჯგუფი ექვემდებარება ავტომატურ დისკვალიფიკაციას და მის მიერ მოპოვებული ყველა შედეგი უქმდება.

2.3. ჯგუფების მწვრთნელი

2.3.1. თითოეულ შერჩეულ გუნდს, ფინალური ეტაპისთვის მოსამზადებლად, ენიშნებათ მწვრთნელი, რომელსაც შეარჩევენ ორგანიზატორები.

2.3.2. ჯგუფის მწვრთნელი უფლებამოსილია, დაეხმაროს ჯგუფს შემდეგ საკითხებში: როლური თამაში, არგუმენტაცია, ზეპირი გამოსვლა, გუნდური მუშაობის უნარების გამომუშავება/გაუმჯობესება.

2.3.3. ფინალურ ეტაპზე, ჯგუფის მწვრთნელს ეკრძალება რომელიმე კონკრეტული გუნდისთვის შეჯიბრის ტესტებთან დაკავშირებით ისეთი სამართლებრივი რჩევის მიცემა, რომელიც წინააღმდეგობაში იქნება სამართლიანობის, შეჯიბრობითობისა და კეთილსინდისიერების ზოგად პრინციპებთან.

2.3.4. ამ მუხლებით გათვალისწინებული დარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში ორგანიზატორი უფლებამოსილია მიიღოს მონაწილე ჯგუფის დისკვალიფიცირების გადაწყვეტილება და გააუქმოს მასთან დაკავშირებული ნებისმიერ შედეგი.

3. ფინალური ეტაპი

3.1. ზეპირი რაუნდი

3.1.1. შეჯიბრის ფინალურ რაუნდში მონაწილეებს მოუწევთ სამი ან სამზე მეტი დავალების ფორმატში

წარმოადგინონ საკუთარი გუნდის პოზიცია.

3.1.2. მოსამართლეებს უფლება აქვთ ნებისმიერ მომენტში დაუსვან კითხვა გუნდის მონაწილეს, რომელიც წარადგენს პოზიციას. გუნდი ვალდებულია, მისი პოზიცია წარადგინოს გამოყოფილ დროში მიუხედავად მოსამართლეების მხრიდან დასმული შეკითხვების სიხშირისა. მოსამართლეს უფლება აქვს მხარის შესაბამისი თხოვნის საფუძველზე დაუმატოს დრო არაუმეტეს 2 წუთის ოდენობით.

3.1.3. ზეპირი რაუნდის განმავლობაში გუნდები შეფასდებიან შემდეგი კრიტერიუმებით: 1. საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ცოდნა და მისი პრაქტიკული გამოყენების უნარი; 2. საერთაშორისო საჯარო სამართლის ცოდნა; 3. სიმულაციურ სიტუაციებში წარმატებით მონაწილეობის უნარი; 4. როლური თამაშების დროს გუნდის სხვა წევრებისა და სხვა გუნდების მიმართ პატივისცემის გამოვლენის უნარი; 5. გუნდური მუშაობის უნარი; 6. არგუმენტაციის უნარი; 7. პრეზენტაბელურობის უნარი; 8. მიცემული დროის ეფექტურად მართვის უნარი.

3.1.4. ზეპირ რაუნდში ტესტები მიმდინარეობს იმ განრიგის მიხედვით, რომელიც დაურიგდებათ მონაწილეებს უშუალოდ შეჯიბრის მსვლელობისას.

3.2. მოსამართლეები

3.2.1. ზეპირი ეტაპის თითოეულ თამაშს განსჯის მოსამართლეებისაგან შემდგარი კოლეგია, რომელსაც აკომპლექტებს შეჯიბრის ორგანიზატორი.

3.2.2. პირი არ შეიძლება იყოს მოსამართლე იმ ჯგუფის გამოსვლაზე, რომელსაც უწევს დახმარებას ამ წესების 2.3. მუხლის მიხედვით. ამასთანავე, მოსამართლე ვერ იქნება პირი იმ თამაშზე, სადაც ჯგუფის რომელიმე წევრთან განსაკუთრებული ურთიერთობის გამო (ნათესაური და სხვა კავშირი), ეჭვქვეშ დადგება მოსამართლის მიუკერძოებლობა.

3.2.3. თითოეულ ჯგუფს უფლება აქვს დააყენოს მოსამართლის აცილების საკითხი, რომელზეც გადაწყვეტილებას ადგილზე მიიღებს შეჯიბრის ორგანიზატორი.

3.3. კომუნიკაცია

3.3.1. ზეპირი გამოსვლის მიმდინარეობისას აკრძალული არ არის ვერბალური სახის კომუნიკაცია ჯგუფის წევრებს შორის, თუმცა, კომუნიკაცია ხელს არ უნდა უშლიდეს პროცესის მიმდინარეობას.

3.3.2. გუნდის წევრებს უფლება აქვთ გამოიყენონ შესაბამისი ლიტერატურა და/ან ელექტრონული ხელსაწყოები, მათ შორის, კომპიუტერი იმდენად, რამდენადაც ხსენებული ქმედება ხელს არ შეუშლის ზეპირი რაუნდის მიმდინარეობას.

4. გუნდების შეფასება

4.1. შეფასების სისტემა

4.1.1. **ზეპირი გამოსვლის შეფასება**

4.1.2. ზეპირ გამოსვლას აფასებენ მოსამართლეები მათთვის წინასწარ გადაცემული შეფასების კრიტერიუმების მიხედვით. გუნდების შეფასება ხორციელდება ზეპირი გამოსვლის დასრულებისთანავე.

4.1.3. ყოველი დავალების შესრულების წინ შეჯიბრის მონაწილეები მიიღებენ ინფორმაციას შეფასების კრიტერიუმების შესახებ.

4.2. ფინალური ეტაპი

4.2.1. ნახევარფინალურ ეტაპზე გადავა პირველ რაუნდში გამოვლენილი საუკეთესო შედეგის მქონე 4 გუნდი.

4.2.2. ფინალურ ეტაპზე გადავა ნახევარფინალური ეტაპის გამარჯვებული (საუკეთესო ქულების მქონე) ორი გუნდი.

5. საჩუქრები

5.1. შეჯიბრის საჩუქრები

5.1.1. შეჯიბრის ბოლოს გამოვლინდებიან შემდეგი კატეგორიის გამარჯვებულები: შეჯიბრის გამარჯვებული გუნდი; საუკეთესო სპიკერი; ორგანიზატორები უფლებას იტოვებენ, შეჯიბრის მსვლელობიდან გამომდინარე გამოავლინონ ნომინაცია - შეჯიბრის აღმოჩენა.

5.1.2. გამარჯვებულებს გადაეცემათ ორგანიზატორის მიერ განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის საჩუქარი (ვაუჩერი ტექნიკის მაღაზიებში, ლიტერატურა და სხვ.) და მონაწილეობის დამადასტურებელი სერტიფიკატები.

6. დასკვნითი დებულებები

6.1.1. ორგანიზატორს უფლება აქვს ნებისმიერ დროს შეცვალოს წინამდებარე წესები და ამის შესახებ ელექტრონული ფოსტის საშუალებით აცნობოს შეჯიბრში მონაწილე გუნდების საკონტაქტო პირებს. საკონტაქტო პირებთან კომუნიკაცია გულისხმობს შეჯიბრში მონაწილე ჯგუფებთან კომუნიკაციას.

6.1.2. წინამდებარე წესებში ნებისმიერი უზუსტობის ან/და ბუნდოვანების არსებობის შემთხვევაში, მისი განმარტება უნდა მოხდეს შეჯიბრის მიზნიდან გამომდინარე.

6.1.3. აღნიშნული წესები ძალაში შედის მონაწილე გუნდებისთვის ხელმისაწვდომად გახდომის მომენტიდან და მოქმედებს შეჯიბრის დასრულებამდე.